საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030158156835720

№ 12-38/ო **30 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით სართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი და ხმარების ცენტრის ცენტრალურ აპარატში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ორგანიზების შესახებ

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N01-50/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში ცენტრი) ცენტრალური აპარატი გადავიდეს მაქსიმალურად დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

2. დაევალოს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, საკუთარი პასუხისმგებლობით, სტრუქტურული ერთეულის აუცილებელი ფუნქციების უწყვეტობის, თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, განსაზღვრონ ამ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ თანამშრომელთა მუშაობის რეჟიმი:
ა) სრულად დისტანციური (როდესაც თანამშრომლის გამოცხადება არ ხდება ცენტრში, გარდა განსაკუთრებული აუცილებელი შემთხვევებისა, როდესაც მოხდება ცენტრის მხრიდან მისი გამოძახება);
ბ) შერეული (როდესაც განისაზღვრება შესაბამისი დღეები/დღის შესაბამისი პერიოდი სამუშაო კვირის განმავლობაში, რა დროსაც აუცილებელია თანამშრომლის სამსახურში გამოცხადება (აუცილებელი ჰიგიენური წესების დაცვით));

3. დაევალოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღავანელებს:
ა) დასაქმებულ თანამშრომელთა მიმართ შესაბამისი მუშაობის რეჟიმის გამოყენების შესახებ ინფორმაციის ცენტრის ადმინისტრაციისათვის მიწოდება;
ბ) სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების სპეციფიკის გათვალისიწნებით, წარმოადგინონ მოქალაქეთათვის მომსახურების დისტანციური მიწოდებისათვის საჭირო წინადადებები.

4. ცენტრის თანამშრომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები განისაზღვროს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.